15/12/2019

# ბარბარობისა და ნიკოლოზობის დღესასწაულებზე სამების საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლინება




სამშაბათს და ხუთშაბათს, წმინდა სამების ტაძარში სადღესასწაულო წირვა აღევლინება, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში, წირვის დასრულების შემდეგ ბრძანა.

“სამშაბათს არის დღესასწაული წირვა წმინდა ბარბარესი- ბარბარობა. ხუთშაბათს არის ნიკოლოზობა. ნიკოლოზობას ჩვენ აქ შევასრულებთ წირვას. მრავალს დაესწარით, გაიხარეთ”, – ბრძანა პატრიარქმა.

პატრიარქმა, დღეს 2 გვარი დალოცა. ამასთან, დაჯილდოვდნენ დეკანოზები მეორე ჯვრის ტარების უფლებით.

— ipn.ge